№ 130, ივნისის 20, ხუთშაბათი. 1866—1885 ივნისის 20, ხუთშაბათი. № 130.

„დროების“ რედაქცია—სასახლის ქუჩაზე, დ. სარაჯოვის სახლში.

ხელის-მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში: გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ, ред. „Дроэба“

ფასი წლით 9 მ., 11 თვით 8 მ., 50კ. 10 თვით—8 მ., 9 თვ.—7 მ., 50კ. 8 თვ.—7 მ., 7 თვ.—6 მ. 6 თვ.—5 მ.. 5 თვ.—4 მ. 50 კ., 4 თვ.—4 მ., 3 თვ.—3 მ., 2 თვ.—2 მ., 1 თვ.—1 მ.

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპეიკი.

დროება

გამოდის ყოველ-დღე ოთხშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა: მეოთხე გვერდზე სტრიქონზე 8 კ., პირველზე 16 კ. სრული უკანასკნელი გვერდი 25 მანეთი; პირველი 50 მ. განცხადებანი სტრიქონებისა ითვლება მათგან დაბეჭდილ-ადგილისაგან-ლობაზედ.

თუ ხელნაწერნი მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

Объявленія изъ Россіи, Царства Польскаго и заграницы принимаются только въ цент. конторѣ объявл. Л. Метцль., Москва, Петровка, № 6.

უმორჩილესად სთხოვენ ნაცნობებს და მეგობრებს მობძანდენ სოფელს ბრეთში ამა ივნისის 29-ს, წლის წირვაზედ თ. ბიგო იოსების-ძე ავალიშვილის მოსახსენებელად, სადაც ამ დღეს მისი მეგობრებისაგან დადგმული იქმნება საფლავზედ სახსოვარი. (2—2)

ამ ნომერში ათი გვერდია.

გამოვიდა მეორე წიგნი ჟურნალის

„ნოგათი“-სა

და ურიგდება ხელის-მოძღვრებს

მიიღება 1885 წ. ხელის-მოწერა

შინაური ქრონიკა

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲓᲐᲛ გვაცნობეს ერთი ფრიად სამწუხარო ამბავი:—ბასულს შაბათს, ღამის 12 საათზე ცირკის გამოსავალთან ხალხში მდგარს ნ. თავდგირიძეს უკანიდამ მიჰპარვია ვილაც გაიძვერა და კეტი დაუკრავს თავში. იქვე ოფიცერან არა ერთი პოლიციის მოხელენი და აუარებელი ხალხი, მაგრამ კაცს ხელი არ გაუშვერია თითქმის გულ-წასულის თავდგირიძისათვის, რომელიც იძახოდა:—დაიჭირეთ, კაცო, ვინმემ, აი, ის კაცი, მომკლა, ხომ ხედავთო. მაგრამ ის ვილაც ავაზაკი გამქრალა წამსვე და სანამ სისხლი არ დაუნახავთ, რომელიც გახეთქილის თავიდამ წყაროსავით გადმოდიოდა თავდგირიძეს, მანამ ყურიც არავის უთხოებია მოსულა და მერმე კი გვიანლა იყო—ავაზაკი გაჭრაო.

ეს მეორე საზიზღარი ამბავია, რომელიც ეკალსავით გულზე ხვდება კაცს. აქ ერთხელ კიდევ გვაგონდება მსტ. მჭედლიძის მწარე ხვედრი. აზრების არევით ეკითხები შენს თავს: რას ნიშნავს ეს!... ერთი პატიოსანი მოღვაწე ჩაჰკლეს, მეორეც ჰსურდათ გამოეგლეჯათ კეთილ-გონიერ მცირე დასიდამ, მაგრამ განგებამ დაიფარა იგი! ვინა გვეტრობს, რად, რისთვის, რა მიზეზია!...

ᲬᲚᲔᲣᲯᲡ ᲑᲝᲠᲘᲡ სასულიერო სასწავლებელში გაათავეს სწავლა თერთმეტმა მოსწავლემ; ამათში ერთი ბერძენია და დანარჩენნი ქართველები არიან; ათში ორნი ეგზამენებზე არ დაესწრენ ავად-მყოფობის გამო; დანარჩენებში ექვსი იცნეს ღირსად თბილისის სასულიერო სემინარიაში გადასვლისა.—ძალების პროგიმნაზიაში წლეულს პირველად დაასრულეს კურსი; გაათავა რვამ; რვაში მხოლოდ ერთია ქართველი.

ᲑᲣᲨᲘᲜᲐᲡ-ᲬᲘᲜ პოლიციას დაეგროვებია ორმოცამდე მხერხავი რაჭველები და მიერეკებოდა პოლიციისაკენ. ესენი «უბილეთოები» აღმოჩენილიყვნენ. წესი მოითხოვს, რომ უბილეთო ხალხი არ სცხოვრებდეს ქალაქ ადგილას, მაგრამ რაჭველებისთანა მშვიდობიანი, უწყინარი მცხოვრებნი, ძვირად თუ მეორე იყოს ჩვენს ქალაქში. მათ ხელობას—მხერხაობას—ისეთის სიბეჯითით ეკიდებიან ისინი, რომ სახერხავ ქარხნებსაც კონკურენციას უწევენ. რაჭველი ცუდად თავის დღეში არა რჩება ქალაქში და თუ საქმე ვერ აიჩინა-რამ, ორს დღესაც არ დადგება აქ. მიდის ქახეთში, ან კიდევ უფრო დიდს მანძილზე. ბევრნია, რომ შეიძლებოდა ასეთის უწყინარის, ქალაქისთვის სასარგებლო ხალხის განთავისუფლება «ბილეთისაგან».

ᲑᲣᲨᲘᲜ, ივნისის 19-ს, ერთი ნემეცი თბილისის ფოსტის კანტორიდამ ფულს იღებდა და როგორც კი დასწერა «მივიღე 360 მან....» წაიქცა და იქვე სული დალია.

ᲤᲨᲐᲕᲨᲘ საქონლის ჭირი გაჩენილა. იმედია, რომ თიანეთის მაზრის უფროსი, თ-დი ლ. ჯ—რი, ერთი უკეთესი ადმინისტრატორთაგანი, ჯეროვანი ზომების მიღებით მალე მოსპობს ამ ჭირს, თუ მთავრობამაც შემწეობა აღმოუჩინა.

ᲘᲕᲠᲘᲡ ᲜᲐᲞᲘᲠᲐ სოფლებში და ფშავში ძლიერ კარგი მოსავალიაო,—როგორც გვწერენ; მეტადრე ერწოთიანეთში. ხევსურეთში კი ხალხს არა აქვს იმედი კარგის მოსავლისა. წლეულს თიანეთის მაზრას წვიმა არ დაჰკლებია და ბალახი მშვენიერი მოვიდაო. რადგანაც აქ საქონლის გაშენებას უფრო მისდევს ხალხი, ამისათვის მცხოვრებლები მადლიერნი არიან ბედისაო.

ᲗᲘᲐᲜᲔᲗᲘᲓᲐᲛ გვწერენ: «ეს ერთი თვე იქნება, რაც ჩვენს მაზრაში დანიშნეს მოხელედ ახალ-გაზდა თ-დი მიხ. ვახტ. მაჩაბელი, რომელსაც მინდობილი აქვს აქაური სახასო გლეხკაცების ცხოვრების და მდგომარეობის შესწავლა. თ-დი მაჩაბელი გულმოდგინედ ეკიდება თავის საქმეს და დაწვრილებით იკვლევს მთიელების მდგომარეობას. მისი შრომა, თუ კი ქართულადაც დაიბეჭდება, სასარგებლო იქნება ჩვენის მწერლობისათვის. მცხოვრებლები გულ-გაშლილად მიეგებნენ მ. მაჩაბელს და ყოველგვარ ცნობებს აძლევენ.

ᲑᲝᲠᲘᲡ მაზრის სოფ. სასირეთიდამ გვწერენ, რომ იქ წლეულს საშინლად წამხდარა როგორც ჭირნახულის ისე ვენახის ყოველგვარი მოსავალი. ჯერ სეტყვა მოსულა და იმას წაუხდენია, მერე რაც სეტყვას გადარჩენია—გვალვას მოუღია ბოლო. ბლეხები ჭირნახულის მოუსაველობას თურმე ისე არა სწუხან, როგორც საქონლისათვის უბალახობას: თავისთვის როგორც იქნება იშოვიან საზრდოსაო, მაგრამ რა უყონ პირუტყვს, საქონელს, რომელიც ვერც ეხლა იძლობს მუცელს გადამწვარს მინდორზედ და ზამთარში ხომ უფრო ვერაფრით გაიძლობს.

ᲨᲝᲠᲐᲐᲜᲘᲡ მაზრიდამ გვწერენ, რომ იქ დ—ნი ნ. ჩ—აძე აგერ შეიდი-რვა წელიწადია ჭკუაზედ შეშლილა და ახლო-მახლო სოფლების მცხოვრებლებს მოსვენება აღარა აქვთ: ზოგს სახლებს უნგრევს. პატრონი არავინ არის, რომ ამას ყურადღება მიაქციონ. ეტყობა იმას ელიან, რომ ამდენ ნავნებს გარდა კაციც შემოაკვდეს.

ᲮᲔᲕᲘᲓᲐᲛ გვწერენ: «მოხევის უპირველესი სახსარი ცხოვრებისა ქირით საქონლის ზიდვა იყო ვლადიკავკაზ-თბილისის შორის. მაგრამ საუბედუროდ მოხევეს ეს ცხოვრების სახსარი მოესპო, რადგანაც ბათუმისაკენ რკინის გზა გაიყვანეს, საიდამაც ვაჭრებს საქონელი რკინის გზით პირდა-პირ თბილისში მოაქვთ და თბილისიდამ ბათუმში, ამის გამოისობით მოხევე ეხლა ვალითა და ვახშით აივსო: თუ რამ მოძრავი ქონება აბადია ხომ იმასა ჰყიდის, თუ არა და უძრავ ქონებას აგირავებს, რომელსაც შემდეგ ველარ იხსნის და იყიდება, რის გამოც იგი იძულებული ხდება წავიდეს სხვაგან თავის ცოლ-შვილით. მარტო ვლადიკავკაზში ას კომლზედ მეტი მოხევეა გადასახლებული და დღიური მუშაობით ირჩენს თავს. 80 კომლი შარაშან სტ. ტარსიკიდამ უკანვე დაბრუნდა ხევში, რადგანაც უცხო ქვეყანაში ვერ გასძლო.

მოხევეების ცხოვრების სახსარი ამ ჟამად ცხვრის მოშენება და საქართველოს სამხედრო გზაზედ მუშაობაა, მაგრამ სამწუხაროდ ეს უკანასკნელი სახსარი, ესე იგი გზაზედ მუშაობა თან-და-თან ხელიდამ ეცლებათ ინჟინერების წყალობით. ინჟინერები წლობით ქირაობენ უცხოს, შორეულს ხალხს—ბერძნებს და სხვ. და ისინი იღებენ იმ ფულს, რაც სამართლიანად მოხევეების ნამუშავარს უნდა შეადგენდეს. მოხევეებს მხოლოდ მაშინ აკეთებინებენ გზას ბეგარით, როდესაც დიდი ზვავები ჩამოწვება ხოლმე და დაქირავებული მუშები საკმარისნი არ არიან; მაშინ მოხევეების დაწესებულს დღიურს ცხრა შაურს და სამს გირვანქა პურს აძლევენ. ინჟინერების ასეთი საქციელი მოხევეებს შესახებ დიდი უსამართლობაა: ლხინში, ესე იგი როდესაც სამუშაო ცოტაა, უცხო ხალხი ჰყავთ დაქირავებული და ჭირში კი,—როდესაც ზვავები ჩამოწვება,—მოხევეებს უძახიან. ბანა უმჯობესი არ იქნება ლხინშიაც და ჭირშიაც მოხევეებს დაუძახონ ხოლმე?»

ᲑᲐᲖᲔᲗᲡ «რადუგას» საჩუქარი დაუნიშნავს მისთვის, ვინც დასწერს ერთ მოქმედებიანს მსიარულს პიესას, რომელიც, სხვათა შორობათა შორის, არ უნდა იყოს ორ-ზრდოვანი და არც შეუსაბამო სიტუაციები და ხუმრობა უნდა ერიოს. ამ ნაირი პიესის დამოწესებლად სხვათაშორის ჩვენი თანამემამულე ი-დი ა. ი. სუმბათიშვილიც არის მიწვეული.

„დროების“ კორესპონდენციები

ᲥᲐᲠᲗᲚᲘ, ივნისის 10-ს. რადგანაც ბორს ქართლის მეთაურს ეძახიან, ამიტომ ამ ჩემს კორესპონდენციას ბორიდამ დავიწყობ. აქაური ცხოვრება ძიელ მდორედ მიდის, რასაც ჯერ გორელები არ მოსწრებიან: ან ჭორებით ართობდენ თავს, ან ერთმანერთის კილვა-ძრახვით, ან ქურდობა და ავაზაკობაზე ლაპარაკობდენ. მაგრამ ეხლა ყველა თავის ქერქშია; მხოლოდ ორმა შემთხვევამ აამღვრია ეს მდორე ცხოვრება და ხალხს გაუჩნდა საჯიჯინო. ერთს შემთხვევაზე ხომ კიდეც იყო «დროებაში» მოხსენებული, მაგრამ ეს ისეთი შემთხვევა იყო, რომ მე ვერ ავუხვევ გზას, თუ ცოტათი მაინც არ შევეხე მას. ამ ზამთარს დამტერებულან ქალები, ერთიერთმანეთისთვის რაღაც-რაღაცეები წაუძახნიათ. ერთ მათგანს ხელობით ბებია-მკერვალს, რომელიც ძიელ შეურაცხყოფილად სთვლიდა თავის თავს აფიცრის ცოლებისაგან, როგორც ამბობენ, კედლებზე განცხადება მიუკრავს, სადაც მკაცრად იყო გამოლანძღული ერთი აფიცრის ცოლთაგანი; ამას თან მიეტანებინა უმანკო პირები, და ამან საშინლად ააღელვა ხალხი. ამ საქმის გამო თავი გამოიდო ბ. მ—ომ, იმ მ—ომ, რომელმაც პატიოსან სიტყვაზე მიინდო თბილისში მასწავლებელი, მიიტყუა სახლში და

რევოლვერით მოჰკლა. ეს სალდათებით და ორი აფიცრით მიიჭრება ფოტოგრაფთან ბ. პოლიევთან, რომელსაც ტყუილად დაბრალდა განცხადების გაკერა, და სურს გაიტყუოს გარედ საცემრად. ის ისრე მაგრა დაუხვდა ბ. მ—კოს თავის კამპანიით, რომ სულები ქუსლებში გაეპარათ. აქ მოესწრო პოლიცია და გააშველეს. ღამე თორმეტ საათზე ავაზაკურად დაცემა მხოლოდ ჭერიმისთანა კაცების საქმეა, მაგრამ თუ განათლებული კაცები ამას ჩაიდენენ, ეს კი აღარ გვეგონა. შარშან ერთი ალიაქოთი შესდგა ქუჩაში რად ჩაიარეს თარითაო, პასუხის გებაში მისცეს მშვიდობიანნი მოქალაქენი ბორისა, და ამისთანა შემაძრწუნებელ საქმეს კი, როგორიც არის განცხადებების გაკერა და ავაზაკურად ოჯახზე დაცემა ჭერიმ-აღასავით, გულიოვად ეჭცევიან.

მოგეხსენებათ, რომ სიმდიდრის მოსახვეჭად ერთს საშუალებათაგანს შეადგენს ცეცხლი—ეს საშინელი სტიქიონი. თბილისში და ჭუთაისში ისე დახელოვნდენ ამ საქმეში, რომ მეტი აღარ შეიძლება. ჩვენი ბორი კი ძლიერ უკან არის ჩამორჩომილი. ეს იმიტომ, რომ ცეცხლი ძალიან იშვიათი მოვლენაა და ამის გამო დახელოვნება აკლიათ; იშვიათი მოვლენაც იმიტომ გახლავთ, რომ დაზღვევა ჯერ არ გაუვრცელებიათ ჩვენში. რომ დახელოვნებულნი არ გახლავან, აი მაგალითი: იმ დღეს ერთმა ბორის მოქალაქემ, როგორც ამბობენ ბოროტი ენები, ცეცხლი წაუკიდაო თავის სახლს. შიგნიდამ მოუკიდეს; კარი და ფანჯარა გამოკეტეს და მოშორდენ. ხალხმა ნახა, რომ სახლი დაკეტილია და ცეცხლი კი შიგნიდამ უკიდია. სახლი კარიელი იყო, შიგ არავინ იდგა, რომ იმათზე ვიფიქროთ. აბა, როგორი საქციელია! ამას დახელოვნებული კაცი არ ჩაიდენდა. აი, მხოლოდ ამაში ჩამოვრჩით უკან სხვა კუთხეებს, თორემ დანარჩენში არა გვიშავსარა გორელებსა.

აპრილის გვალვამ მოსავალი ძალიან დასჩაგრა; იქნება სრულიად მოსაძოვებელიც გამხდარიყო, რომ მაისის ნახევრიდამ წვიმებს არ მოესწრო; ყანები, ნაგვიანევად დათესილები, მოაცოცხლა; ზოგან ისრე გაკეთდა მოსავალი, რომ ღვთის თვალი შიგა ტრიალებს, მაგრამ მერმისისთვის კი ხალხი უხნავად რჩება. წლევანდელი გაზაფხული და ანიულის დრო სულ გზების ბეგრებს მოანდომეს ვირველია, გზები კარგია, კარგი და სანაქებო დაწყობილობაა, მაგრამ «ალექსანდრე მაკედონელი რომ კარგი გმირი იყო, სკამებმა რა დააშავეს[illegible]» კი მოგახსენოთ, რომ დაუვიწყარი გახდება ჩვენი მაზრის უფროსი ამ გზების გაყვანის გამო. ხალხი ეხლა შესწუხდა, მაგრამ ბოლოს ისიამოვნებს. ბორიდამ მოკიდებული ცხინვალამდე გაიყვანეს ძალიან ფართო გზა-ტკეცილი; ს. ბრეთიდამ ცხინვალამდე ამ გვარიეე გზა გაიტანეს, ამ გზებს შემომწკრივებული აქვთ სოფლები. ეხლა მაზრის უფროსი შეუდგა პატარა-ლიახვზე ხიდის გაკეთებას. იმედი გვაქვს, რომ როგორც გზების კეთებას შეუდგა ენერგიულად, ისრე ამ ხიდის საქმეს მოჰკიდებს ხელს, რადგანაც იგი დიდ საჭიროებას შეადგენს მცხოვრებთათვის. მაგრამ როგორც მისი, მაზრის უფროსის კეთილის-მყოფნი, ჩვენ მივაქცევთ მის ყურადღებას ზოგიერთა მისი მოხელეების უგვანს საქციელს, რომელიც ასე, თუ ისე, მის მოქმედებას, მის კეთილ-განზრახვებს წასჩრდილავს.

ყველამ კარგად იცის, რომ ყველა სახემწიფო ხალხს თავისებურად უფთხილდება. როცა რომელიმე მოხელეს ამწესებენ, როდი ეუბნებიან; შენ ხალხის ნერონი გახდიო... ამ გზების კეთებაზე მაზრის უმცროსმა თანაშემწემ ქვა ჰკრა ბრეთის მამასახლისს და მძიმედ დასჭრა, ასე რომ მისი მორჩენა აღარავის ეგონა ბ. ლ—ოვი ხომ ისეთს საქმეებს ჩადის...

ს. ზერტში მეორე ხელ-ქვეითს მაზრის უფროსისას ბ. ძ—ძეს უმიწერლობოდ მიუყვია ხელი მამულების გაყოფისათვის სახემწიფო გლეხთა შორის. ზოგს სჭერია მამით-პაპით რომელიმე მამული, გაუპატივებია იგი, შემდეგ გაუვენახებია. მოხელე ართმევს ამ შვილიდარს მამულს და აძლევს სხვას. რად, რისთვის? თითონაც არ იცის. მოუვლია შეწუხების ხურუშს და ის არის! სხვათა შორის ერთი საკოდავი, ბუნებისაგან დაჩაგრული გლეხისათვის, წაურთმევია ორი დღის ნაფუზარი, გაევნახებული. როდესაც შეუტყვიათ, რომ გლეხი საჩივლელად წავიდა, ისევ მიუბრუნებიათ მამული; რაკი სოფელში აუტყუებიათ, ისევ ხელ-ახლავ ჩამოურთმევიათ. ამის გაგონებაზე გულს შემოჰყრია საწყალს ბესიაშვილს (გვარი იმ დაჩაგრული გლეხისა), ძლივს მოუცნობილებიათ და ცოცხალ მკვდარი-ღა არისო. ყველა—ყველა, მაგრამ აზნაურს ძ—ძეს რად მისცა ბატონმა მოხელემ სახელმწიფო მიწებიდამ ოთხი დღის მამული, რომელიც, რასაკვირველია, გლეხებს ჩასთალა? რა უფლების ძალით მოქმედობს იგი ასრე? ვინ უბძანა მაგას სახემწიფო მამულების მიმიჯვნის საქმე? თუ ასეა, რატომ სახემწიფოს მხრივ გამგებელი არ არის გაგზავნილი?—იქნება, ყველა ეს მაზრის უფროსმა არ იცოდეს, ჩუმად ხდებოდეს, ამიტომ მივაქცევთ მისს ყურადღებას ამ საგანზე. იკითხოს, იქნება, ჩვენ შემცდარი ვართ. ღმერთმა ჰქნას, რომ ასრე იყოს; მაგრამ უსაბუთო არ იქმნება ეს ხმები მოხელეებზე.

სოფ. თიანეთი, ივნისის 14. თიანელები ფაცა-ფუცში არიან: ზოგი ტირის და ზოგი იცინის,—სატირელი აქვთ გლეხებს, რომელთაც ახლო-მახლო მიწები ჰქონდათ და დიდ ჯაფად არ უჯდებოდათ ხვნა-თესვა; დღეს ეს მიწები შეისყიდეს ჯარების საბანაკოდ და გლეხებს ორი დღის სავალზე მოეჭრათ მამული. საცინელი და სასიხარულო ადგილის მებატონეთ გაუხდათ, რადგან იმათ, კაი ფასად დაისვეს მამულები და მათთან კიდე ვაჭრებს; ეს უკანასკნელნი ხომ სულ «ბალამ-ბალამს» იძახიან და რუსულ ენაში ვარჯიშობენ, რომ აქცენტი გაისწორონ და უფრო მიიზიდონ ტკბილის რუსულით რუსის მხედრები,—აშენებენ სასტუმროებს და ემზადებიან ახალის სარჩოს შეძაძენად. თიანეთი, საზოგადოდ, იმ ნაირი, თუ შეიძლება ესე დავუძახოთ, სოფელ-ქალაქია რომ აქ კაცი ადვილად «მოსუქდება», თუ კი მოინდომა. დიდი შრომაც არ მოუნდება: მხოლოდ რუსული საყველ-პუროდ იცოდეს და სინიდისს პანლური უჭიროს,—თორემ მოსუქება თავის თავად მოხდება მაშინ. ვინ არ მოსუქდება იქ, სადაც ათის წლის განმავლობაში თხუთმეტ მანათიანი მწერლები ორ-ორ—სამ-სამ სახლებს სჭიმვენ!?—სადაც მატყუარა ექიმები, რომელთა მედიცინის ცოდნა სასაქმებელი ზეთის და ქინაქინის სახელის ცოდნას არ გასცილებია, ერთხელ მისაღებ სასაქმებელში სამ-ლიტრა ერბოს და თითო ძროხას იღებენ!? საკვირველია, რომ ეს ეიღაცა «არტემები» «ბიორგები», რომელთაც ნება არა აქვსთ ექიმობისა, ექიმობენ და ატყუილებენ ფშაველებს. ბანა მოვალე არ არის აქაური ექიმი, მედიცინის დოქტორი ბ. ქ. ბ—შვილი, რომ აღუკრძალოს მათ ხალხის ცარცვა-გლეჯა?

რადგანაც მაზრის ექიმამდის მიეაღწია, არ შემიძლიან, რომ ამ «ჯანაოზზე», როგორც იმას ეძახიან თიანეთში, ერთი-ორი სიტყვა არა ესთქვა; ცოტა მოწიწება და თავაზიანობა კი მმართებს, მართალია, რადგან ბ. ბ—ის ღირსება «მედიცინის დოქტორი» ყველასაგან პატივ-საცემია, მაგრამ რა ვქნა, რომ შეჭდრინისებული კალმის წამოწითლებისა არ იყოს, «მედიცინა» წითლდება, როდესაც მის ახლოს სწერია ქ. ბ—ი. ქაცს საზოგადოების თვალში ორი თვისება ჰხდის პატივ-საცემლად: გონებრივი განვითარება და პატიოსნება; ბ. ბ—ს. პირველი ძალიან ღალატობს და მეორისა რა მოგახსენოთ. მისი დისერტაცია, მედიცინის დოქტორობის ღირსების მისაღებად დაწერილი, მეოთხე კლასელის თხზულებას მოგაგონებთ, საკლასოდ დაწერილს. რით უნდა გავიგოთ, რომ «медико-топографія и санитарное состояніе губер. города Ставрополя, дисертація на степень доктора медицины» დაწერილია მედიცინის დოქტორისა და არა მეოთხე კლასელი გიმნაზიელისა, როდესაც ავტორის მედიცინური გამოკვლევა მხოლოდ შემდეგს აზრებზედ ტრიალებს: ა) ხალხის ჯან-მრთელობისთვის საჭიროა რომ ქარხნები ქალაქს გარედ შენდებოდეს; ბ) ჰაერი უნდა წმინდა იყოს,—ქუჩებში ცუდი სუნი არა ტრიალებდეს?..

ბ. ბ—ს შემდეგი ელემენტარული ჭეშმარიტებაც ვეღარ ეცოდინებია: მისის აზრით სტაეროსლის მუშა ხალხის უბედურება უწმინდურობისაგან წარმოსდგება. ლიტერატურა,—ამბობს იგი დიდის ყვედრებით,—ხალხის უბედურების მიზეზად გარს-შემოტყმულს პირობებსა სთვლის, მაგრამ ეს შეცდომით მოსდის. დამბალი ხალხის პირველი და უკანასკნელი უბედურების მიზეზი უწმინდურობა ანუ ბინძურობა არის *). ეს ბავშურის ტიტინით დაწერილი მეცნიურული ვითომ გამოკვლევა შეუნელებია ადგილ-ადგილ ციფრებით და გამოუკვერია დისერტაცია. მაგრამ ნეტა ისევ მედიცინურ გამოკვლევაში ყოფილიყო გაბმული ბ ბ—ი და ნ. ბარათაშვილის პოეზიის საკურთხეველის ცეცხლზედ არ დაეწყო ხელების თბობა. რა დააშავა ნ. ბარათაშვილმა ისეთი, რომ იმისი ცეცხლ-მოდებული სიტყვები «ცუდად ხომ მაინც არ ჩაივლის ეს განწირულის სულის კვეთება» და სხვ, გამხდარა, ბ—ის დისერტაციის დასკვნის დასამშვენებლად. როგორ შეძრწუნდებოდენ სამარეში ნ. ბარათაშვილის ძვლები თუ კი როგორმე იგრძნობდენ, რომ ულირსად მედიცინის დოქტორობის მძებნელი ქართველი, რომელიც ქართულად ჭირით აგებს ენას, იმეორებს მის, საქართველოს ბედისგან გამოწვეულს, სიტყვებს. მაგრამ არ აწუხებს ის, რომ ქართული არ იცის და საქართველოზედ არაფერს ზრუნავს; ის თავის დოქტორულის მედიდურობით დაიმედებულია დისერტაციაზე, რომელიც იმას შეუძენია მედგარის (!) შრომით, რათა გაუადვილოს მოძმეთ ცხოვრების გზა: «не безслѣдно-же пройдутъ эти порывы истомленной души, и стезя, съ такимъ трудомъ протоптанная, всежь останется, чтобы облегчить путь собратамъ моимъ.

როგორი ერთგული და გულ-შემატკივარიც არის ჩვენი ექიმი თავის მოძმეებისა, იგი თავის ყოფა-ქცევით ამტკიცებს. ჰკითხეთ, აქაურ ხევსურებს, აქაურ ღარიბ ხალხს და ისინი მოგიგებენ პასუხს...

ძიდევ მადლობა ღმერთს, რომ ჩვენი ექიმი გადასელას აპირებს და თიანელი ვაჭრები ოვაციას უმართავენ, როგორც ყაირათიან და ფულის მომგებს კაცს, თავიანთ ამქარს. უნდა გააცილონ დიდის ამბით და დაფა ზურნით, რასაკვირველია, და ბაირაღით; ბაირაღს შეადგენს გრძელი სახრე თავზე ჩამოცმული ინდოურით...

ამ მრავალ ტანჯული ინდოურის ბიოგრაფიაც საინტერესოა ფრიად, რადგან ის ჰფენს ნათელს აქაური «ინტელიგენციის» წევრის ზნეობრივს ინსტინკტებს.

ერთხელ ამ ბატონმა წვეულება გამართა; იყიდა ინდოური მედუქნი-

---

*) იხ. გვ. 55 Медико-топографія и санитарное сотояніе губ. города Ставрополя. Диссертація на степень доктора медицины,

საგან და აწვეინებს მზარეულს. საბრალო ინდოურის ნახევარი გვერდი შემწვარი იყო, რომ მას ფეშქაშად კურდღელი მოუვიდა; აილო ეს ინდოური და ისევ პატრონს დაუბრუნა. ვაჭარი აღარ იღებს ინდოურს,— ცოცხალი ინდოური მომიცია, ბატონო, მკვდარს რა ვუყოო.—აილე ჩქარა, დაუყვირებს ბ. ესკულაპი, თორემ ამ საათში პროტოკოლს შეგიდგენ, რომ ჭირიანია და უფრო ბევრს განანებ. მეტი გზა არ იყო, აილო მედუქნემ გვერდ-შეწითლებული ინდოური და ეს ორი თვეა, რაც საბრალოდ ინახავს დუქანში გამოკიდებულს... როგორ გგონიათ, მკითხველო, ამისთანა ექიმს მედიცინის მაგივრად ზურგზედ ჩოთქი და არშინი უფრო არ მოუხდებოდა?

თუმცა თიანეთურ მოხელეების შორის ამისთანა ყალბი ხალხი ბევრია, მაგრამ კარგებიც მოიპოვებიან. თიანეთი წინანდელზედ ბევრად გაუკეთესებულა, მაზრის უფროსის ბ. ლევან ჯანდიერის წყალობით: ქურდობა და სხვა ავ-კაცობა შემცირდა; ბ. ჯანდიერი, გარდა თავის პირადი სამსახურისა, როგორც მაზრის უფროსის—ადმინისტრატორისა, სხვა გვარადაც ემარება ხალხს. ივრის ხეობის ფშავლებს დაედოთ ტყის გაკაფვაზე სამასი თუმანი, რომელიც ბ. ჯანდიერის წყალობით მთავრობასთან შუამავლობით, იმედია, ხალხს ეპატიოს; გარდა ამისა ის ცდილობს სკოლების გამართვას და მასწავლებლების მოწვევას,— ეს ფრიად სასიამოვნოა, მით უმეტეს, რომ ამ ხუთის წლის წინედ მარტო ორი სკოლა არსებობდა ფშავში: ერთი იორზე—სოფ. არტანში და მეორე არაგვზე—სოფ. ჩარგალში; დღეს ეს სკოლები გაუქმებულები არიან და შენობები ინგრევა. თუ სხვა სოფლებში არ გაიხსნება, ამ სკოლების გახსნა მაინც ხომ საჭირო და სანატრელია ხალხისათვის,—და თვით ბ. ჯანდიერის მეცადინეობა მათ გაახლებისათვის საქებური და მადლობის ღირსია.

ლ. რ.

სიღნაღის მაზრა, ივნისის 12. ორი კვირა არ არის, რაც სიღნაღის მაზრის ხალხი დაბრუნდა შინ ბეგრიდგან. სიღნაღის გარშემო ახალ გზებს ასწორებდენ, არხებს უსუფთავებდენ და ზოგგან კი ახლად აკეთებდენ. ყველა სოფლებში გამოცხადდა ახლად გაკეთებული «ზასტავას» თბილისისა და სიღნაღს შუა, «ტაქსა», (მაზანდა)...

ხალხმა დაწვრილებით შეიტყო ფასი საქონელზედ და მიმოვალ-მომავალზე. ჭირა ახლა ისე იაფია, რომ იგი «ზასტავასაც» ძლივს გაუძლებს. ურემზედ, რომელშიაც აბია ერთი ულელი, «ზასტავაში» იღებენ 98 კაპ. (თითო სულ კამეჩზედ, თუ ხარზედ 49 კაპ.). თუ ულელზედ მომეტებული აბია ურემში, მაშინ სულზედ იღებენ 78 კაპ, ცარიელ ცხენზედ და ჯორზედ—9 კაპ. წვრილ-საქონელზედ, თხაზე, ცხვარზედ—$4\frac{1}{2}$ კაპეიკია დაწესებული... ამ «ტაქსასთან» ერთად გამოეცხადა ხალხს წესდება, სადაც არის დაწვრილებით გარკვეული, თუ როდის ან ვინ არის თავისუფალი «ზასტავის» გარდასახადისაგან.

ჩვენი ყურადღება მიაქცია წესდების II ნაწილის მეათე მუხლმა, რომლის ძალითაც სოფლელები, რომელთაც მიაქვთ თავიანთი ნაწარმოები (ხილი ბოსტნეულობა და სხვა) ურმით, «ზასტავის» გარდასახადიდამ თავისუფალნი არიან, მხოლოდ მათ უნდა უეჭველად ჰქონდეთ მოწმობა ადგილობრივ პოლიციისაგან. ამ მუხლს დაბლა აქვს შენიშნვა, რომ ზემოხსენებული მოწმობა შეუძლიანთ მისცენ თვით სოფლის მოხელეებმა, მხოლოდ იგი უნდა იყოს დაწერილი რუსულად (!!!) როგორც უნდა იყოს, «ზასტავის» გამართვა, უეჭველია ქირას ერთი-ორად გააძვირებს (ეს ეხლავე ეტყობა).

—

მაისის წვიმებმაც ვერა გვიშველესრა. ყანებში წვიმის შემდეგ გუდაფშუტამ მოიკიდა ფეხი; ქერი მომკის მაგივრად გათიბა ხალხმა. წვიმები მხოლოდ სიმინდსა და ფეტვს კარგ დროს მოესწრო. ბალახის ხსენება ხომ არ არის, საქონელი და ცხენები, ყორულების მაგივრად, მთებში გარეკა ხალხმა. თუმცა საშინელი სიცხე დადგა ამ ბოლოს დროს, მაინც ჩვენი მაზრა ჯერ-ჯერობით აცილებულია ავადმყოფობას.

—

შეიფოთლა მთები თუ არა დამოიგონეს ღამის რაინდებმა თავიანთი სჯული. გაღმა-მხარში თავისუფლად დანავარდობენ. ჯერ-ჯერობით ერთი კაცი მოჰკლეს და ერთი ყარაულიც დასჭრეს.

ს. ბურჯაანის თავშიაც თურმე გაჩენილან ავაზაკები. მაზრის უფროსმა ჯეროვანი განკარგულება მოახდინა: გაღმა თხუთმეტი კაცი გაგზავნა მათ დასაჭერად. ს. ბურჯაანის ტყეშიაც დააყენა ყარაულები.

ი. კახელი.

წერილი რედაქციისადმი

—

წარსული წლის აპრილის 28-ს, ქ. სიღნაღის სცენის მოყვარეთაგან იყო გამართული წარმოდგენა «წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების» სასარგებლოდ. ამ წარმოდგენის ხაზინადრად, ანუ ფულების მიმღებად და დანიშნულებისამებრ გამგზავნად ბ. პ. ნაცვლიშვილი და თ. მ. ანდრონიკაშვილი იყვნენ ამორჩეულნი.

აგერ წელიწადზე მეტი გავიდა მას შემდეგ და დღემდის ვერ შევიტყვეთ დარწმუნებით წმინდა შემოსავალი გაეგზავნა «წერა-კითხვის საზოგადოებას», თუ არა. ამასთან წარმოდგენის ანგარიში თქვენს პატივცემულ გაზეთის ფურცლებზედ უნდა ყოფილიყო დაბეჭდილი, მაგრამ არც იგი გვალირსეს. რადგან ამ გარემოებამ საზოგადოებაში სხვა-და-სხვა უსიამოვნო აზრები დაჰბადა საზოგადოდ ყველა სცენის მოყვარეებზედ, ამიტომ ვთხოვთ ზემოხსენებულ პირთ თქვენი გაზეთის შემწეობით განაცხადონ ანგარიში იმ წარმოდგენისა და მით მოსპონ ყოველი საზოგადოებაში ბოროტებაზე აშენებული აზრი სცენის მოყვარეთადმი.

ერთი სცენის მოყვარეთაგანი.

ქ. სიღნაღი.
ივნისის 12.

ტელეგრამები

„ჩრდილოეთის სააგენტოსი“

ივნისის 19-ს.

პეტერბურგი. დღეს ხელმწიფე იმპერატორისა და იმპერატრიცას დასწრებით დაიწყეს შენება ჯავშნიანი გემის: „იმპერატორი ალექსანდრე“ და შემდეგ მათის დიდებულებათა თანადასწრებითვე გალერის კუნძულიდამ ჩაუშვეს წყალში კორვეტი „რიდა“.

კიევი. იტალიიდამ დღეს მოასვენეს დემიდოვის გვამი.

ბელგრადი. მმართებლობა ენერგიულის ზომებით შეუდგა ამ ბოლოს დროს ერთობ გაძლიერებულის ავაზაკობის აღმოფხვრას.

ლონდონი. თვისს წერილში ამომრჩეველთადმი გლადსტონი ამბობს, რომ ჯერ-ჯერობით იგი ხელს გაუმართავს კონსერვატიულ კაბინეთს, მაგრამ პოლიტიკურის სარბიელის დატოვებას არ იფიქრებს, რადგან საჭიროდ სთვლის კიდევ ემსახუროს [illegible].

ბომბეი. ავღანში არეულობაზე გავრცელებული ხმები ოფიციალურად გამტყუნდენ.

ივნისის 10-ს

პეტერბურგი. არყის გამოხდა კარტოფილის ფქვილიდამ და აგრეთვე სახამებლის კეთება ყოველს არყის ქარხნებს შეეძლებათ ამას იქით იმ პირობით, რომ დაიცვან ის წესები, რაც არის საზოგადოდ ამ საგანზე დადგენილი.

ბლაღოვეშჩენკი. ამურის გენერალ-გუბერნატორმა აღუკრძალა რუსებს ოქროს მადნის მუშაობა ჩინეთის მიწებზე ანგუნის მახლობლად.

ლონდონი. გაზეთები ამტყუნებენ იმ ხმას ვით ომც ახალ კაბინეტს განზრახვა ჰქონდეს დონგოლა ხელახლა დაჭიროს.

ბირჟა

პეტერბურგი ივნისის 18.

100 მანათის კურსი სამის თვით ლონდონზე—	— $24\frac{3}{32}$ $24\frac{1}{4}$ $24\frac{1}{8}$
100 მანათის კურსი სამის თვით ჰამბურგზე—	—$205\frac{3}{4}$ $206\frac{1}{2}$ $205\frac{3}{4}$
100 მან. კურსი სამის თვით პარიჟზე —	— $254\frac{1}{2}$
პოლუიმპერიალები	— 8 მ. 20 კ. გაყ.
ტამოჟნის კუპონები	— 8 მ. 17 კ. გაყ.
ვეცხლის მანათი	— 1 მ. 29 კ. გაყ.
ბირჟის დისკონტი—	— 6 და $6\frac{3}{4}$%
5% ბილეთები სახემწიფო ბანკისა 100 და 1000 მან. პირველი გამოცემისა — —	— 99 მ. გაყ.
მეორე გამოცემისა	— $97\frac{1}{4}$ მ. გაყ.
მესამე გამოცემისა	— $97\frac{1}{2}$ მ. გაყ.

ქუთაისის თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკისაგან.

ქუთაისის თავად-აზნაურთ საადგილ-მამულო ბანკის გამგეობა საყოველთაოდ აცხადებს, რომ, ამ ბანკის წესდების მე 18 § ძალით, ქვემო მოყვანილ დღეებში, დილის 12 საათზედ, ქ. ქუთაისს, ბანკის გამგეობის სადგურში საზოგაო ვაჭრობით გასყიდულ იქმნებიან ხსენებულს ბანკში დაგირავებულნი უძრავნი მამულნი ქვემო აღნიშნულთა პირთა, ბანკის სახვედრო გადასახადთა მათ მიერ შემოუტანლობისა გამო.

გასყიდვა მოისპობა მხოლოდ იმ მამულებისა, რომელთა მეპატრონენი, თანახმად ბანკის წესდების მე 19 §-ისა შეავსებენ ბანკის გადასახადს და თან განცხადებათა ხარჯებს.

ვაჭრობა დაიწყება ქვემო მოყვანილის თავნი ფულიდამ ზედ დამატებით სხვა-და-სხვა შეუვსებელის გადასახადისა, მამულის გასასყიდლად დანიშვნაზე ხარჯებისა და, საზოგადოდ, ყველა იმ ფულისა, რომელიც ბანკს თვისის მოვალის სამაგიეროდ დაუხარჯავს. ბანკის ხანგრძლივი ვალის თავნის მოსპობა შეიძლება ამავე ბანკის გირავოს ფურცლებით, რომელნიც მიიღებიან სახელდობრივის ფასისამებრ მანათი მანათზე და აგრეთვე შეიძლება გადიტანილი იქმნენ მყიდველზე; ხოლო ვადაზე გადასახადი და სხვა გვარი ბანკის სახვედრო ფული უნდა შემოტანილ იქმნენ ნაღდიდ.

ვისაც ვაჭრობაში მონაწილეობის მიღება სურსთ, მათ შეუძლიათ გასასყიდელთ მამულთა აღწერილობის და საბუთების განხილვა ბანკის სამმართველოში.

თუ ეს ვაჭრობა არ შედგა, მაშინ, ბანკის წესდების 24 § საფუძვლით დაიწყება მეორე და უკანასკნელი ვაჭრობა 12 აგვისტოს ამა 1885-ს წელსა.

ვაჭრობა 25 ივლისს 1885-ს წელსა.

$18\frac{7}{1}$ წლიანი სესხნი.

ქ. ქუთაისს.

ვარდანაშვილის, გიგო მახარობლის-ძის: ნემეცის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის დუქანი და მიწა, 15, 42 კვად. საჟ. თავნი ვალი 404 მან. 16 კაპ. შესაფ. გარდ. 66—57 კაპ. სულ 470 მან. და 73 კაპ.

ᲒᲝᲒᲘᲐᲕᲐᲡᲘ, ᲐᲚᲐᲗᲘ ᲛᲝᲡᲔᲡ ᲐᲡᲣᲚᲘᲡ: ᲞᲝᲚᲘᲪᲘᲘᲡ ᲥᲣᲩᲐᲖᲔ ᲔᲠᲗ-ᲡᲐᲠᲗᲣᲚᲚᲘᲐᲜᲘ ᲮᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲬᲐ, 241 ᲙᲕᲐᲓᲠ. ᲡᲐᲭ. ᲗᲐᲕᲘᲜᲘ ᲕᲐᲚᲘ 269 ᲛᲐᲜ. ᲓᲐ 27 Კ. ᲨᲔᲡ. ᲒᲐᲠᲓ. 53 ᲛᲐᲜ. ᲓᲐ 27 ᲙᲐ�პ. ᲡᲣᲚ 322 ᲛᲐᲜ. 54 ᲙᲐ�პ.

ᲓᲐᲠᲐᲡᲕᲔᲚᲘᲫᲘᲡᲐ, ᲛᲘᲰᲐᲘᲚ ᲔᲠᲘᲡᲗᲝᲠᲗ-ᲫᲘᲡ ᲝᲠ-ᲞᲘᲠᲘᲡ ᲥᲣᲩᲐᲖᲔ ᲝᲠᲘ ᲥᲕᲘᲗᲙᲘᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲔᲑᲘ—ᲔᲠᲗᲘ ᲝᲠ-ᲡᲐᲠᲗᲣᲚᲚᲘᲐᲜᲘ ᲓᲐ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲔᲠᲗ-ᲡᲐᲠᲗᲣᲚᲚᲘᲐᲜᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲬᲐ, 312 ᲙᲕᲐᲓᲠ. ᲡᲐᲭ. ᲗᲐᲕᲘᲜᲘ ᲕᲐᲚᲘ 3,994 ᲛᲐᲜ. ᲓᲐ 28 ᲙᲐ�პ. ᲨᲔᲡᲐᲕ. ᲒᲐᲠᲓ. 511 Მ. 88 ᲙᲐ�პ. ᲡᲣᲚ 4506 ᲛᲐᲜ. 16 ᲙᲐᲪ

ᲛᲔᲛᲙᲕᲘᲓᲠᲔᲗᲘ ᲛᲐᲭᲣᲢᲐᲫᲘᲡᲐ, ᲚᲘᲠᲡᲐ ᲖᲣᲠᲐᲑᲘᲡ ᲐᲡᲣᲚᲘᲡ: ᲜᲔᲛᲔᲪᲘᲡ ᲥᲣᲩᲐᲖᲔ ᲝᲠᲘ ᲥᲕᲘᲗᲙᲘᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘ—ᲔᲠᲗᲘ ᲝᲠ-ᲡᲐᲠᲗᲣᲚᲚᲘᲐᲜᲘ ᲓᲐ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲔᲠᲗ-ᲡᲐᲠᲗᲣᲚᲚᲘᲐᲜᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲬᲐ, 193, 45 ᲙᲕᲐᲓᲠ. ᲡᲐᲭ. ᲗᲐᲕᲘᲜᲘ ᲕᲐᲚᲘ 5,882 Მ. 83 ᲙᲐᲪ. ᲨᲔᲡᲐᲕ. ᲒᲐᲠᲓ. 794 ᲛᲐᲜ. 75 ᲙᲐᲪ ᲡᲣᲚ 6677 ᲛᲐᲜ. 58 ᲙᲐᲪ

ᲗᲘᲠᲐᲜᲝᲕᲘᲡ, ᲜᲘᲙᲝ ᲐᲜᲢᲝᲜᲘᲡ-ᲫᲘᲡ: ᲑᲐᲖᲠᲘᲡ ᲓᲐ ᲤᲠᲐᲜᲒᲔᲑᲘᲡ ᲥᲣᲩᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲕᲔᲕᲨᲘ ᲔᲠᲗ-ᲡᲐᲠᲗᲣᲚᲚᲘᲐᲜᲘ ᲥᲕᲘᲗᲙᲘᲠᲘᲡ ᲓᲣᲥᲐᲜᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲬᲐ, 20 ᲙᲕᲐᲓᲠ. ᲡᲐᲭ. ᲗᲐᲕᲘᲜᲘ ᲕᲐᲚᲘ 538 ᲛᲐᲜ. 87 ᲙᲐᲪ. ᲨᲔᲡ. ᲒᲐᲠ. 79 ᲛᲐᲜ. 97 Კ. ᲡᲣᲚ 618 ᲛᲐᲜ. 84 Კ.

ᲗᲣᲠᲥᲘᲐᲡᲘ, ᲛᲐᲛᲣᲙᲐ ᲙᲝᲡᲢᲐᲡ-ᲫᲘᲡ: ᲝᲙᲖᲚᲘᲡ ᲥᲣᲩᲐᲖᲔ ᲝᲠ-ᲡᲐᲠᲗᲣᲚᲚᲘᲐᲜᲘ ᲥᲕᲘᲗᲙᲘᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲬᲐ, 2330 ᲙᲕᲐᲓᲠ. ᲡᲐᲭ. ᲗᲐᲕᲘᲜᲘ ᲕᲐᲚᲘ 6497 ᲛᲐᲜ. 53 ᲙᲐᲪ. ᲨᲔᲡ. ᲒᲐᲠ 808 ᲛᲐᲜ. 78 ᲙᲐᲪ. ᲡᲣᲚ 7306 ᲛᲐᲜ. 31 ᲙᲐᲪ.

ᲗᲣᲠᲥᲘᲐᲡᲘ, ᲛᲐᲛᲣᲙᲐ ᲙᲝᲡᲢᲐᲡ-ᲫᲘᲡ ᲓᲐ ᲒᲣᲒᲣᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ, ᲡᲢᲔᲤᲐᲜᲔ ᲘᲕᲐᲜᲔᲡ-ᲫᲘᲡ: ᲛᲘᲰᲐᲘᲚᲘᲡ ᲥᲣᲩᲐᲖᲔ ᲔᲠᲗ-ᲡᲐᲠᲗᲣᲚᲚᲘᲐᲜᲘ ᲥᲕᲘᲗᲙᲘᲠᲘᲡ ᲓᲣᲥᲐᲜᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲬᲐ, 40, 3 ᲙᲕᲐᲓᲠ. ᲡᲐᲭ. ᲗᲐᲕᲘᲜᲘ ᲕᲐᲚᲘ 2223 ᲛᲐᲜ. 01 Კ. ᲨᲔᲡ. ᲒᲐᲠ. 337 ᲛᲐᲜ. 82 ᲙᲐᲪ. ᲡᲣᲚ 2560 ᲛᲐᲜ. 83 ᲙᲐᲪ.

ᲬᲠᲔᲗᲝᲚᲗᲗ: ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲓᲐ ᲓᲘᲛᲘᲢᲠᲘ ᲔᲥᲕᲗᲘᲛᲔᲡ-ᲫᲔᲗᲐ ᲓᲐ ᲕᲐᲡᲘᲚᲘ ᲡᲘᲛᲝᲜᲘᲡ-ᲫᲘᲡ: ᲑᲐᲚᲘᲡ ᲥᲣᲩᲐᲖᲔ ᲔᲠᲗ-ᲡᲐᲠᲗᲣᲚᲚᲘᲐᲜᲘ ᲥᲕᲘᲗᲘᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲬᲐ, 4 ᲓᲔᲡᲘᲐᲢ. 245 ᲙᲕᲐᲓᲠ. ᲡᲐᲭ. ᲗᲐᲕᲘᲜᲘ ᲕᲐᲚᲘ 2357 ᲛᲐᲜ. 69 ᲙᲐᲪ. ᲨᲔᲡ. ᲒᲐᲠᲓ. 220 ᲛᲐᲜ. 77 ᲙᲐᲪ. ᲡᲣᲚ 2578 ᲛᲐᲜ. 46 ᲙᲐᲪ.

ᲛᲔᲛᲙᲕᲘᲓᲠᲔᲗᲘ ᲩᲐᲠᲥᲝᲕᲘᲡ, ᲘᲚᲘᲡᲐᲑᲔᲓ ᲡᲘᲛᲝᲜᲘᲡ ᲐᲡᲣᲚᲘᲡ: ᲑᲔᲒᲣᲗᲘᲡ ᲥᲣᲩᲐᲖᲔ ᲔᲠᲗ-ᲡᲐᲠᲗᲣᲚᲚᲘᲐᲜᲘ ᲥᲕᲘᲗᲙᲘᲠᲘᲡ ᲓᲣᲥᲜᲔᲑᲘ, ᲡᲐᲠᲓᲐᲤᲘᲗ ᲓᲐ ᲛᲘᲬᲐ, 103½ ᲙᲕᲐᲓᲠ. ᲡᲐᲭ. ᲗᲐᲕᲘᲜᲘ ᲕᲐᲚᲘ 2088 Მ. 01 Კ. ᲨᲔᲡ. ᲒᲐᲠ 322 Მ. 45 Კ. ᲡᲣᲚ 2410 Მ. 46 ᲙᲐᲪ.

ᲨᲘᲠᲕᲐᲜᲝᲕᲘᲡ, ᲘᲝᲡᲔᲑ ᲘᲕᲐᲜᲔᲡ-ᲫᲘᲡ: ᲤᲠᲐᲜᲒᲔᲑᲘᲡ ᲥᲣᲩᲐᲖᲔ ᲔᲠᲗ-ᲡᲐᲠᲗᲣᲚᲚᲘᲐᲜᲘ ᲮᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲬᲐ, 120 ᲙᲕᲐᲓᲠ. ᲡᲐᲭ. ᲗᲐᲕᲘᲜᲘ ᲕᲐᲚᲘ 673 Მ. 62 Კ ᲨᲔᲡ. ᲒᲐᲠ. 110 Მ. 81 Კ. ᲡᲣᲚ 784 Მ. 43 ᲙᲐᲪ.

ᲓᲣᲚᲐᲫᲔᲗᲐ: ᲡᲝᲚᲝᲛᲝᲜ ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖᲘᲡ-ᲫᲘᲡ, ᲡᲐᲛᲡᲝᲜ, ᲡᲐᲠᲘᲠᲘᲓᲝᲜ, ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲓᲐ ᲡᲘᲛᲝᲜ ᲙᲝᲜᲡᲢᲐᲜᲢᲘᲜᲔᲡ-ᲫᲔᲗᲐ: ᲡᲐᲗᲐᲕᲐᲓᲝ ᲥᲣᲩᲐᲖᲔ ᲝᲠ-ᲡᲐᲠᲗᲣᲚᲚᲘᲐᲜᲘ ᲥᲕᲘᲗᲙᲘᲠᲘᲡ ᲓᲣᲥᲐᲜᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲬᲐ, 23 ᲙᲕᲐᲓᲠ ᲡᲐᲭ. ᲗᲐᲕᲘᲜᲘ ᲕᲐᲚᲘ 3000 Მ. 13 Კ. ᲨᲔᲡ. ᲒᲐᲠ. 439 Მ. 42 ᲙᲐᲪ. ᲡᲣᲚ 3439 Მ. 55 Კ.

ᲓᲐᲡᲐᲮᲛᲘᲔᲗᲐ: ᲜᲔᲡᲢᲝᲠ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲡᲝᲜ ᲛᲘᲰᲐᲘᲚᲘᲡ-ᲫᲔᲗᲐ: ᲡᲐᲗᲐᲕᲐᲓᲝ ᲥᲣᲩᲐᲖᲔ ᲝᲠ-ᲡᲐᲠᲗᲣᲚᲚᲘᲐᲜᲘ ᲥᲕᲘᲗᲙᲘᲠᲘᲡ ᲓᲣᲥᲐᲜᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲬᲐ, 20 ᲙᲕᲐᲓᲠ. ᲡᲐᲭ. ᲗᲐᲕᲘᲜᲘ ᲕᲐᲚᲘ 2092 Მ. 93 Კ. ᲨᲔᲡ ᲒᲐᲠ. 250 Მ. 13 Კ. ᲡᲣᲚ 2343 Მ. 06 Კ.

ᲛᲔᲛᲙᲕᲘᲓᲠᲔᲗᲐ ᲯᲝᲠᲗᲥᲘᲤᲡᲜᲘᲫᲘᲡᲐ, ᲔᲚᲐᲡᲐ ᲑᲔᲡᲐᲠᲘᲝᲜᲘᲡ-ᲫᲘᲡ: ᲝᲠᲞᲘᲠᲘᲡ ᲓᲐ ᲑᲐᲚᲘᲡ ᲥᲣᲩᲔᲑᲡ ᲨᲣᲐ ᲔᲠᲗ-ᲡᲐᲠᲗᲣᲚᲚᲘᲐᲜᲘ ᲥᲕᲘᲗᲙᲘᲠᲘᲡ ᲓᲣᲥᲜᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲬᲐ, 700 ᲙᲕᲐᲓ ᲡᲐᲭ. ᲗᲐᲕᲘᲜᲘᲕᲐᲚᲘ 4186 Მ. ᲨᲔᲡ. ᲒᲐᲠ. 748 Მ. 96 Კ. ᲡᲣᲚ 4934 Მ. 96 Კ.

ᲘᲠᲐᲖᲝᲕᲘᲡ, ᲐᲜᲜᲐ ᲒᲐᲑᲠᲘᲔᲚᲘᲡ ᲐᲡᲣᲚᲘᲡ: ᲞᲝᲚᲘᲪᲘᲘᲡ ᲥᲣᲩᲐᲖᲔ ᲝᲠᲘ ᲝᲠ-ᲡᲐᲠᲗᲣᲚᲚᲘᲐᲜᲘ ᲡᲐᲮᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲬᲐ, 300 ᲙᲕᲐᲓᲠ. ᲡᲐᲭ. ᲗᲐᲕᲘᲜᲘ ᲕᲐᲚᲘ 3767 Მ. 21 ᲙᲐᲪ. ᲨᲔᲡ. ᲒᲐᲠ. 530 ᲛᲐᲜ. 76 ᲙᲐᲪ. ᲡᲣᲚ 4297 ᲛᲐᲜ. 97 ᲙᲐᲪ.

ᲛᲔᲛᲙᲕᲘᲓᲠᲔᲗᲐ ᲡᲔᲚᲗᲣᲛᲔᲚᲘᲫᲘᲡᲐ, ᲑᲔᲡᲐᲠᲘᲝᲜ ᲐᲜᲓᲠᲘᲐᲡ ᲫᲘᲡ: ᲝᲠᲞᲘᲠᲘᲡ ᲥᲣᲩᲐᲖᲔ ᲔᲠᲗ-ᲡᲐᲠᲗᲣᲚᲚᲘᲐᲜᲘ ᲮᲘᲡ ᲓᲣᲥᲜᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲬᲐ, 442 ᲙᲕᲐᲓᲠ ᲡᲐᲭ. ᲗᲐᲕᲘᲜᲘ ᲕᲐᲚᲘ 1255 Მ. 65 ᲙᲐᲪ. ᲨᲔᲡ. ᲒᲐᲠ. 296 Მ. 60 ᲙᲐᲪ. ᲡᲣᲚ 1552 Მ. 25 Კ.

ᲒᲐᲛᲠᲔᲚᲔᲚᲝᲕᲘᲡ, ᲘᲝᲐᲜᲜᲔ ᲒᲘᲝᲠᲒᲘᲡ ᲫᲘᲡ: ᲛᲔᲡᲮᲔᲗᲘᲡ ᲥᲣᲩᲐᲖᲔ ᲔᲠᲗ-ᲡᲐᲠᲗᲣᲚᲚᲘᲐᲜᲘ ᲥᲕᲘᲗᲙᲘᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲬᲐ, 297, 54 ᲙᲕᲐᲓᲠ. ᲡᲐᲭ ᲗᲐᲕᲘᲜᲘ ᲕᲐᲚᲘ 1586 Მ 42 Კ ᲨᲔᲡ. ᲒᲐᲠ. 165 Მ 63 ᲙᲐᲪ. ᲡᲣᲚ 1752 Მ 05 ᲙᲐᲪ.

ᲥᲣᲗᲘᲗᲚᲔᲕᲘᲡ, ᲙᲚᲘᲛᲔᲜᲢᲘ ᲞᲔᲢᲠᲔᲡ-ᲫᲘᲡ ᲓᲐ ᲛᲔᲣᲚᲚᲘᲡᲐ ᲛᲘᲡᲘᲡᲐ ᲔᲙᲐᲢᲔᲠᲘᲜᲐᲡᲘ: ᲒᲔᲒᲣᲗᲘᲡ ᲥᲣᲩᲐᲖᲔ ᲝᲠ-ᲡᲐᲠᲗᲣᲚᲚᲘᲐᲜᲘ ᲥᲕᲘᲗᲙᲘᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲬᲐ, 200 ᲙᲕᲐᲓᲠ. ᲡᲐᲭ. ᲗᲐᲕᲘᲜᲘ ᲕᲐᲚᲘ 1946 Მ. 69 Კ. ᲨᲔᲡ. ᲒᲐᲠ. 264 Მ. 85 Კ. ᲡᲣᲚ 2211 Მ. 54 ᲙᲐᲪ.

ᲨᲣᲠᲐᲓᲝᲕᲘᲡ, ᲗᲝᲛᲐ ᲞᲐᲕᲚᲔᲡ-ᲫᲘᲡ: ᲑᲐᲚᲐᲮᲕᲐᲜᲘᲡ ᲥᲣᲩᲐᲖᲔ ᲔᲠᲗ-ᲡᲐᲠᲗᲣᲚᲚᲘᲐᲜᲘ ᲥᲕᲘᲗᲙᲘᲠᲘᲡ ᲓᲣᲥᲜᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲬᲐ, 54 ᲙᲕᲐᲓᲠ. ᲡᲐᲭ. ᲗᲐᲕᲘᲜᲘ ᲕᲐᲚᲘ 1081 Მ. 32 Კ. ᲨᲔᲡ. ᲒᲐᲠ. 130 Მ. 74 Კ. ᲡᲣᲚ 1212 Მ. 06 Კ.

ᲛᲔᲛᲙᲕᲘᲓᲠᲔᲗᲐ ᲬᲠᲔᲗᲚᲘᲡ, ᲜᲔᲡᲢᲝᲠ ᲓᲘᲛᲘᲢᲠᲘᲡ-ᲫᲘᲡ: ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲥᲣᲩᲐᲖᲔ ᲝᲠ-ᲡᲐᲠᲗᲣᲚᲚᲘᲐᲜᲘ ᲡᲐᲮᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲬᲐ, 900 ᲙᲕᲐᲓᲠ. ᲡᲐᲭ. ᲗᲐᲕᲘᲜᲘ ᲕᲐᲚᲘ 4470 Მ 33 Კ. ᲨᲔᲡ. ᲒᲐᲠ. 854 Მ 60 Კ ᲡᲣᲚ 5324 Მ. 93 Კ.

ᲫᲔᲘᲑᲔᲒᲝᲕᲗᲐ, ᲘᲝᲡᲔᲑ ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲓᲐ ᲘᲕᲐᲜᲔ ᲮᲕᲗᲘᲡᲝᲕᲐᲠᲘᲡ ᲫᲔᲗᲐ: ᲚᲔᲕᲐᲨᲝᲕᲘᲡ ᲥᲣᲩᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲕᲔᲕᲨᲘ ᲝᲠ-ᲡᲐᲠᲗᲣᲚᲚᲘᲐᲜᲘ ᲡᲐᲮᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲬᲐ, 1270 ᲙᲕᲐᲓᲠ. ᲡᲐᲭ. ᲗᲐᲕᲘᲜᲘ ᲕᲐᲚᲘ 892 Მ. 39 Კ. ᲨᲔᲡ. ᲒᲐᲠᲓ. 92 Მ. 35 ᲙᲐᲪ. ᲡᲣᲚ 984 Მ. 74 ᲙᲐᲪ.

ᲙᲘᲙᲘᲜᲘᲡᲐ. ᲢᲐᲡᲘᲐ ᲒᲚᲐᲮᲣᲐᲡ ᲐᲡᲣᲚᲘᲡ: ᲖᲣᲑᲝᲕᲘᲡ ᲥᲣᲩᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲕᲔᲕᲨᲘ ᲔᲠᲗ-ᲡᲐᲠᲗᲣᲚᲚᲘᲐᲜᲘ ᲡᲐᲮᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲬᲐ, 144 ᲙᲕᲐᲓᲠ. ᲡᲐᲭ. ᲗᲐᲕᲘᲜᲘ ᲕᲐᲚᲘ 446 Მ. 22 ᲙᲐᲪ. ᲨᲔᲡ ᲒᲐᲠᲓ. 88 ᲛᲐᲜᲔᲗᲘ 25 ᲙᲐᲪ. ᲡᲣᲚ 534 ᲛᲐᲜ. 47 ᲙᲐᲪ.

ᲛᲔᲛᲙᲕᲘᲓᲠᲔᲗᲐ, ᲐᲚᲮᲐᲖᲝᲕᲘᲡᲐ, ᲘᲕᲐᲜᲔ ᲙᲐᲪᲘᲐᲡᲫᲘᲡ: ᲞᲝᲚᲘᲪᲘᲘᲡ ᲥᲣᲩᲐᲖᲔ ᲝᲠᲘ ᲝᲠ-ᲡᲐᲠᲗᲣᲚᲚᲘᲐᲜᲘ ᲡᲐᲮᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲬᲐ, 334 ᲙᲕᲐᲓᲠ. ᲡᲐᲭ ᲗᲐᲕᲘᲜᲘ ᲕᲐᲚᲘ 3062 ᲛᲐᲜ. 90 Კ. ᲨᲔᲡ. ᲒᲐᲠᲓ. 398 Მ. 02 Კ. ᲡᲣᲚ 3460 Მ. 92 ᲙᲐᲪ.

ᲯᲝᲠᲗᲥᲘᲤᲡᲜᲘᲫᲘᲡ, ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖ ᲒᲘᲝᲠᲒᲘᲡ ᲫᲘᲡ: ᲛᲔᲡᲮᲔᲗᲘᲡ ᲥᲣᲩᲐᲖᲔ ᲔᲠᲗ-ᲡᲐᲠᲗᲣᲚᲚᲘᲐᲜᲘ ᲮᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲬᲐ, 667 ᲙᲕᲐᲓᲠ. ᲡᲐᲭ ᲗᲐᲕᲘᲜᲘ ᲕᲐᲚᲘ 1378 Მ. 26 ᲙᲐᲪ. ᲨᲔᲡ. ᲒᲐᲠᲓ. 212 Მ. 66 Კ. ᲡᲣᲚ 1590 Მ. 92 ᲙᲐᲪ.

ᲠᲣᲮᲐᲫᲘᲡᲐ, ᲙᲔᲡᲐᲠᲘᲐ ᲐᲗᲐᲜᲐᲡᲔᲡ ᲐᲡᲣᲚᲘᲡ: ᲝᲠᲞᲘᲠᲘᲡ ᲥᲣᲩᲐᲖᲔ ᲝᲠ-ᲡᲐᲠᲗᲣᲚᲚᲘᲐᲜᲘ ᲥᲕᲘᲗᲙᲘᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲬᲐ, 89 ᲙᲕᲐᲓ. ᲡᲐᲭ. ᲗᲐᲕᲘᲜᲘ ᲕᲐᲚᲘ 979 ᲛᲐᲜ. 56 ᲙᲐᲪ. ᲨᲔᲡ. ᲒᲐᲠᲓ. 123 Მ. 24 Კ. ᲡᲣᲚ 1102 ᲛᲐᲜ. 80 ᲙᲐᲪ.

ᲛᲔᲛᲙᲕᲘᲓᲠᲔᲗᲐ ᲗᲘᲗᲝᲠᲐᲥᲕᲒᲕᲘᲡᲐ, ᲡᲘᲛᲝᲜ ᲕᲐᲡᲘᲚᲘᲡ ᲫᲘᲡ: ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔᲡ ᲡᲚᲝᲑᲝᲓᲐᲨᲘ ᲔᲠᲗ-ᲡᲐᲠᲗᲣᲚᲚᲘᲐᲜᲘ ᲥᲕᲘᲗᲙᲘᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲬᲐ, 189 ᲙᲕᲐᲓ. ᲡᲐᲭ. ᲗᲐᲕᲘᲜᲘ ᲕᲐᲚᲘ 765 Მ. 75 Კ. ᲨᲔᲡ. ᲒᲐᲠᲓ. 60 Მ. 88 Კ. ᲡᲣᲚ 826 Მ. 63 Კ.

ᲜᲐᲜᲐᲨᲘᲫᲘᲡ, ᲡᲘᲛᲝᲜ ᲘᲕᲐᲜᲔᲡ ᲫᲘᲡ: ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔᲡ ᲓᲐ ᲜᲔᲛᲔᲪᲘᲡ ᲥᲣᲩᲔᲑᲡ ᲨᲣᲐ ᲝᲠ-ᲡᲐᲠᲗᲣᲚᲚᲘᲐᲜᲘ ᲥᲕᲘᲗᲙᲘᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲬᲐ, 748 ᲙᲕᲐᲓ. ᲡᲐᲭ. ᲗᲐᲕᲘᲜᲘ ᲕᲐᲚᲘ 23,613 Მ. 69 Კ. ᲨᲔᲡ. ᲒᲐᲠ. 1879 Მ. 53 Კ. ᲡᲣᲚ 25,493 ᲛᲐᲜ. 22 ᲙᲐᲪ.

ᲓᲝᲚᲝᲑᲔᲠᲘᲫᲘᲡ, ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖ ᲖᲐᲐᲚᲘᲡ ᲫᲘᲡ: ᲒᲔᲒᲣᲗᲘᲡ ᲥᲣᲩᲐᲖᲔ ᲔᲠᲗ-ᲡᲐᲠᲗᲣᲚᲚᲘᲐᲜᲘ ᲮᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲬᲐ, 213 ᲙᲕᲐᲓ. ᲡᲐᲭ. ᲗᲐᲕᲘᲜᲘ ᲕᲐᲚᲘ 2,361 Მ. 39 Კ. ᲨᲔᲡ. ᲒᲐᲠ. 346 Მ. 9 Კ. ᲡᲣᲚ 2,707 ᲛᲐᲜ. 48 ᲙᲐᲪ.

ᲒᲔᲒᲔᲚᲨᲕᲘᲚᲘᲡ, ᲐᲜᲢᲝᲜ ᲡᲘᲛᲝᲜᲘᲡ ᲫᲘᲡ: ᲑᲐᲚᲐᲮᲕᲐᲜᲘᲡ ᲥᲣᲩᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲕᲔᲕᲨᲘ ᲝᲠ-ᲡᲐᲠᲗᲣᲚᲚᲘᲐᲜᲘ ᲡᲐᲮᲚᲘ, ᲡᲐᲛᲖᲐᲠᲔᲣᲚᲝᲗ ᲓᲐ ᲛᲘᲬᲐ, 439 ᲙᲕᲐᲓ. ᲡᲐᲭ. ᲗᲐᲕᲘᲜᲘ ᲕᲐᲚᲘ 787 Მ. 13 Კ. ᲨᲔᲡ. ᲒᲐᲠ. 101 Მ. 56 Კ. ᲡᲣᲚ 888 ᲛᲐᲜ. 69 ᲙᲐᲪ.

ᲛᲔᲛᲙᲕᲘᲓᲠᲔᲗᲐ ᲖᲔᲓᲘᲜᲝᲕᲘᲡᲐ, ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖ ᲔᲜᲝᲥᲐᲡ ᲫᲘᲡ: ᲥᲐᲠᲐᲐᲕᲐᲜ-ᲡᲐᲠᲐᲘᲘᲡ ᲥᲣᲩᲐᲖᲔ ᲔᲠᲗ-ᲡᲐᲠᲗᲣᲚᲚᲘᲐᲜᲘ ᲥᲕᲘᲗᲙᲘᲠᲘᲡ ᲓᲣᲥᲜᲔᲑᲘ ᲡᲐᲠᲓᲐᲤᲘᲗ ᲓᲐ ᲛᲘᲬᲘᲗ, 36 ᲙᲕᲐᲓ. ᲡᲐᲭ. ᲗᲐᲕᲘᲜᲘ ᲕᲐᲚᲘ 9445 Მ. 42 Კ. ᲨᲔᲡ. ᲒᲐᲠ. 463 Მ. 10 Კ. ᲡᲣᲚ 9908 ᲛᲐᲜ. 52 ᲙᲐᲪ.

ᲖᲐᲠᲒᲔᲚᲘᲡ, ᲜᲐᲢᲐᲚᲘᲐ ᲛᲝᲡᲔᲡ ᲐᲡᲣᲚᲘᲡ: ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲥᲣᲩᲐᲖᲔ ᲔᲠᲗ-ᲡᲐᲠᲗᲣᲚᲚᲘᲐᲜᲘ ᲥᲕᲘᲗᲙ ᲡᲐᲮ. ᲡᲐᲠᲓᲐᲤᲘᲗ ᲓᲐ ᲛᲘᲬᲐ, 198 ᲙᲕᲐᲓ. ᲡᲐᲭ. ᲗᲐᲕᲘᲜᲘ ᲕᲐᲚᲘ 2402 Მ. 35 Კ. ᲨᲔᲡ. ᲒᲐᲠᲓ. 347 Მ. 18 Კ. ᲡᲣᲚ 2749 ᲛᲐᲜ. 53 ᲙᲐᲪ.

ᲥᲔᲗᲘᲜᲝᲠᲝᲕᲘᲡ, ᲓᲐᲕᲘᲗ ᲙᲐᲠᲐᲞᲔᲢᲘᲡ ᲫᲘᲡ: ᲘᲕᲐᲜᲝᲕᲘᲡ ᲥᲣᲩᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲕᲔᲕᲨᲘ ᲝᲠ-ᲡᲐᲠᲗᲣᲚᲚᲘᲐᲜᲘ ᲥᲕᲘᲗᲙᲘᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲬᲐ, 298 ᲙᲕᲐᲓ. ᲡᲐᲭ. ᲗᲐᲕᲘᲜᲘ ᲕᲐᲚᲘ 1574 Მ. 21 Კ. ᲨᲔᲡ. ᲒᲐᲠᲓ. 223 Მ. 65 Კ. ᲡᲣᲚ 1797 Მ. 86 ᲙᲐᲪ.

ᲯᲝᲠᲗᲥᲘᲤᲡᲜᲘᲫᲗᲐ, ᲡᲘᲛᲝᲜ ᲓᲐ ᲛᲔᲛᲙᲕᲘᲓᲠᲔᲗᲐ ᲘᲝᲡᲔᲑ ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖᲘᲡ ᲫᲔᲗᲐ: ᲝᲠᲞᲘᲠᲘᲡ ᲥᲣᲩᲐᲖᲔ ᲝᲠ-ᲡᲐᲠᲗᲣᲚᲚᲘᲐᲜᲘ ᲥᲕᲘᲗᲙᲘᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲬᲐ, 321 ᲙᲕᲐᲓ. ᲡᲐᲭ. ᲗᲐᲕᲘᲜᲘ ᲕᲐᲚᲘ 7871 Მ. 29 Კ. ᲨᲔᲡ. ᲒᲐᲠᲓ. 720 Მ. 7 Კ. ᲡᲣᲚ 8591 ᲛᲐᲜ. 36 ᲙᲐᲜ.

ᲯᲝᲠᲗᲥᲘᲤᲡᲜᲘᲫᲘᲡ, ᲓᲐᲕᲘᲗ ᲐᲠᲩᲘᲚᲘᲡ ᲫᲘᲡ: ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲥᲣᲩᲐᲖᲔ ᲔᲠᲗ-ᲡᲐᲠᲗᲣᲚᲚᲘᲐᲜᲘ ᲥᲕᲘᲗᲙᲘᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘ ᲡᲐᲠᲓᲐᲤᲘᲗ ᲓᲐ ᲛᲘᲬᲐ, 123 ᲙᲕᲐᲓ. ᲡᲐᲭ. ᲗᲐᲕᲘᲜᲘ ᲕᲐᲚᲘ 2833 Მ. 62 Კ. ᲨᲔᲡ. ᲒᲐᲠᲓ. 312 Მ. 10 Კ. ᲡᲣᲚ 3145 Მ. 72 Კ.

ᲛᲔᲡᲮᲘᲡ, ᲛᲘᲖᲐᲠᲑᲔᲒ ᲤᲘᲠᲐᲜᲘᲡ ᲫᲘᲡ: ᲘᲕᲐᲜᲝᲕᲘᲡ ᲥᲣᲩᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲕᲔᲕᲨᲘ ᲔᲠᲗ-ᲡᲐᲠᲗᲣᲚᲚᲘᲐᲜᲘ ᲥᲕᲘᲗᲙᲘᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘ ᲡᲐᲠᲓᲐᲤᲘᲗ ᲓᲐ ᲛᲘᲬᲐ, 189 ᲙᲕᲐᲓ. ᲡᲐᲭ. ᲗᲐᲕᲘᲜᲘ ᲕᲐᲚᲘ 2361 Მ. 35 Კ. ᲨᲔᲡ. ᲒᲐᲠᲓ. 126 Მ. 75 Კ. ᲡᲣᲚ 2488 Მ. 10 Კ.

ᲤᲔᲘᲥᲠᲝᲕᲘᲡ, ᲘᲝᲡᲔᲑ ᲡᲢᲔᲤᲐᲜᲔᲡ ᲫᲘᲡ: ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲥᲣᲩᲐᲖᲔ ᲝᲠᲘ ᲥᲕᲘᲡ ᲗᲘᲗᲝᲠ-ᲡᲐᲠᲗᲣᲚᲚᲘᲐᲜᲘ ᲡᲐᲮᲚᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲬᲐ, 169 ᲙᲕᲐᲓ. ᲡᲐᲭ. ᲗᲐᲕᲘᲜᲘ ᲕᲐᲚᲘ 3482 ᲛᲐᲜ. 19 Კ. ᲨᲔᲡ. ᲒᲐᲠᲓ. 452 Მ. 66 Კ. ᲡᲣᲚ 3934 ᲛᲐᲜ. 85 ᲙᲐᲪ.

ᲡᲐᲠᲩᲘᲛᲔᲚᲝᲕᲗᲐ, ᲑᲔᲡᲐᲠᲘᲝᲜ ᲓᲐ ᲡᲘᲙᲝ ᲑᲔᲟᲐᲜᲘᲡ ᲫᲔᲗᲐ: Ო